

1949

№ 11. თბილისი. 1949 წ. გამოცემა „კომუნისტი“
გამოცემის წელი XXVI. შანი 2 მან

ქართული
ბიბლიოთეკა

ნიანბი



ნახ. ი. გაბაშვილისა

1799

სახელი ჩემი მოედნა მთულს დიად რუსეთს
და მომიგონებს ყველა ირა მასში მცხოვრები...

1949

ალ. კუხიანი

Обязательный экземпляр



ატლანტიკა არ იკმარა, არ დახჯერდა სისხლისმსხმელი, უნდა წყნარი ოკეანეც, — დახანტიქმელად მოხდეს ხე ლი.

მაგრამ ვისაც კვლავ ომი ხურს და ხალხების არ აქვს რიდი, უჯობს დროზე გაიხსენოს ფიურერის მაგალითი.

გულმოდკლოლნი იუწყებიან...

ხადდაც, ცხრა მთას იქით, ცხრა ზღვის გადაღმა, ერთ თეთრად შეღებილ სახლში, შუა ოთახში იდგა მდიდრულად მორთული კუბო, რომელშიაც უცნაური შეხანებადობის მიცვალებული ეხვეწა. უცნაურობა იმაში იყო, რომ ამ მიცვალებულს მინისტრის ფრაკს ზემოდან თეთრი ფერის „დამამშვიდებელი პერანგი“ ჰქონდა გადაცმული. მოდით და ნუ გაცოდებთ! სად მინისტრის ფრაკი და სად გიჟის ხალათი?

კუბოსთან ახლოს, სპეციალურ ბალიშზე იდო მიცვალებული მინისტრის გატენილი პორტფელი, რომელშიაც საქმის ქაღალდები ველარ ეტეოდა. ზოგი ამოხრილიყო პორტფელიდან და შეიძლებოდა ამ საქმეების სათაურები წაგეკითხათ: „ატლანტიკის პაქტი“, „სამხედრო ექსპორტის გაძლიერების გეგმა“, „საავიაციო ბაზების ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე“.

კუბოზე ეწყო აუარებელი გვირგვინები, ყველაზე დიდი გვირგვინის ლენტზე შავი ასოებით ეწერა: „უფლ-სტრითი დახტობის თავის საყვარელ მინისტრს“. ხელს აწერდნენ: როკფელერი, დიუბონე, ჰერსტი, მორგანი და ფორდი. მეორე გვირგვინზე წარწერილი იყო: „გულმოდკლოლი ტრუმენი და აჩეხონი მწუხარებით იუწყებიან, რომ თეთრ სახლს გამოეცალა ერთი დედაბიძი, დავრჩით ჩვენ—ორი დედაბიძი“.

მესამე გვირგვინი ცოტა არ იყო ლირიკული ტონით დალაგებდა: „რად დახტოვებ ობლად შენი ბებერი ქოფაკი უინსტონი და მისი ლეკვი—რულოლი“. კიდევ იყო აუარებელი გვირგვინი ასეთივე წარწერებით. მათ შორის უარადღებას იქცევდა ორი გვირგვინი, რომლებიც რატომღაც იტაკებდნენ დაეყარათ. პირველზე ეწერა: „რად გაწყრა ალაში, რად წაგვარა შენი თავი. გუნაღტაი, ხადაყი, იალჩინი“. მეორეზე წაიკითხავდი: „მე, ირანის ლომი, გენერალი რაზმარა დაგტირი შენ“, იქვე დახატული იყო ლომი, რომელიც ძალიან ჰგავდა ქეციან ძაღლის ლეკვს...

მაგადაზე ეწყო აუარებელი სამგლოვიარო დეპეშა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან, თანაც შიკრიკს ყოველ წუთში შემოჰქონდა ახალი დეპეშები. აგერ მან მოიტანა დეპეშა მადრიდიდან, ოთახში მდგომმა ჯორჯ მარშალმა გახსნა ის, წაიკითხა: „ცოლ-ქმარი ფრანცისკო და კარმენ ფრანკოები დავტერით ძვირფას ცხედარს“. მარშალმა ამ დეპეშის წაკითხვაზე ცრემლი ველარ შეიკავა და აქეთიონდა, ის იყო შიკრიკმა ახალი დეპეშა მიწოდდა. ეს დეპეშა ჯოჯობილიდან იყო გამოგზავნილი; მასში ეწერა: „ჯეიმს, შენ ნამდვილი ეხეხელი იყავი, დაგტირით ევა და ადოლფი“.

ახლი კუბოზე, გვირგვინების ზევიდან ეწყო მიცვალებულის საყვარელი სათამაშოები: მუყაოსაგან

ვამოკრილი დოლარი, ხათამაშო ატომური ბომბი და ლინჩის წესით წამების იარაღები.

მიცვალებულის კუბოს ირგვლივ აუარებელი ხალხი ეხვეწა. ტიროდნენ ქალები. ქ-ნ ელეონორას და ქ-ნ ლედი ასტორს თმები გაეწეწათ და ლოყებს იხოკდნენ, კუბოს თავთან იდგა ანანას ჯორჯ კიტლუტი მარშალი, იმის აქედან ჯონ ფოსტერ დაღეხი, მერე უინსტონ ჩერჩილი, აქვე იყო ჰარიმანი, სენატორი არტურ ვანდენბერგი, ხოლო კუბოს ორივე მხარეს დაჩოქილები იყვნენ ბეგინი, რობერ შუმანი, პოლ სპაკი და უიულ მოკი. დერეფანში ისმოდა ბლავილი — „ალაჰ, ალაჰ,“ და ხანდახან თავს შემოჰყოფდა ხოლომე ჯახინდ იალჩინი, მაგრამ ლივრეში გამოწყობილი მეკარე მას ოთახში, ბატონებთან არ უშვებდა: ჯახინდს ისეთი სუნი ხდოდა, რომ ქალბატონ ელენორას და ქალბატონ ლედი ასტორს ცრემლებს მოსაწმენდად ამოდებულნი ხელსახოცები ცხვირში ჰქონდათ შეჩრდილი.

უცებ უინსტონმა მალა ახწია ღრმა ხევიდთ ხავსე ბულდოგისებურა თავი და ხამაღლა მიმართა კუბოში მწოლარებს:

— ჯეიმს, შენმა სიკვდილმა ჩემი გული ორად გააბო. თურმე შენ გიჟი იყავი და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ როცა მე ფულტონში სიტყვა წარმოვხტე, საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ გავილაშქრე და „კრინის ფარდის“ არსებობა დავადასტურე, მაშინ პირველმა შენ მომილოცე, მითხარა: ჩვენ ერთი აზრი გვქონდა და ტვინიც ერთნაირად გვქონდა მოწყობილი; მერე მე ბრიუსელში გამოვედი და ხალხით გაქედოლ შუა მოედანზე ვიყვირე: „გვიშველეთ, საბჭოები ომს იწყებენ მეთქი“. ვანა შენც ასე არ მოიქეცი, როცა სახანძრო რაზმის მანქანის დანახვაზე იკვილე და იკვილე: „გვიშველეთ, საბჭოთა ტანკები ნიუ-იორკში შემოიჭრენო“. ჩვენ, მე და შენ კონგენიალური ვიყავით, სოლიდარულნი. ახლა კი რა გამოდის. მაშ, მეც...

და აქ უინსტონს უცებ სიბრაზისაგან ბულდოგისებური სახე დაედრიცა, კბილები გამოაჩინა და მიცვალებულს ყვირილი დაუწყა:

— არა, ეს არ უნდა გეგნა შენ. რას ხნადხნართქვე ოხრებო! ჯერ იყო და იმ გადარეულმა ადოლფმა გამიცრუა იმედი. ყველანი გიყვები როგორ გამოდექი. რმის დროს ლორდი ბივრბრუის შვილი ჩემად ლისაბონში გავგზავნე, ადოლფის ატენტებს შეხვდი და მოელაპარაკე-მეთქი, მინდოდა სეპარატული ზავი დამედო გერმანიასთან მოკავშირეთა შორეს უკან. არაფერი გამოვიდა. იმ გიჟმა სულ ჩაშალა ჩემი გეგმები. ახლა კი შენ საბოლოოდ მომიღე ბოლო.

როგორც კი დაამთავრა სიტყვა უინსტონმა, გული შეუწყნდა და სავარძელზე უღონოდ მიესვენა. ირანული ნავითი ხავსე ფლაკონიდან აყნოსეს და წამსვე კარგად გახდა. წინ წამოდგა ჯორჯ მარშალი და დაიწყო:

— სამოცდაათი წლის კაცი ვარ და ჯერ ახელი მწუხარება არ განმიცდია. ჩემი ჯეიმსი აღარ არის, გახსოვს ჯეიმს, როცა მე გენერლის პაქტებზე დიპლომატის ფრაკი გადამაცვეს—მე და შენ რა წინ წავწიეთ ამერიკის საქმე? მთელი მსოფლიოს დაპყრობა მოვიწოდეთ, ელჩებად სულ გენერლები გავგზავნეთ აქეთ-იქით: ადმირალი კორკი—ბელგიაში, გენერალი ხოინზი—პანამაში, გენერალი ხოლიკი—სამხრეთ აფრიკაში, გენერალი სმიტი—საბჭოთა კავშირში. ჩემი სახელი ჰგვეყანას მოედო. დედამიწის ორივე ჰემისფეროს მარშალიზაცია განვიზრახე და ახლა ბავშვმაც კი იცის ჩემი სახელი. აგერ თუნდაც იმ ქეციან ძაღლსა ჰკითხე (ამ დროს კარბში თავი შემოჰყოფდა ხილინი, მარშალი მისკენ გაიშვირა თითი), თუნდ იმ ჰირიან ჰორიკანას ჰკითხე, რომ ჩემი სახელი იციან მთელ თურქეთში ყოველ ირმაკიდან არსრუმამდე. ჩემი ჯეიმსი, — მანდა მარშალი და ცრემლები ჩამოსდიოდა გამხმარ ლოყებზე, — ეს რა გვიქვნი, მეთექვსმეტე ხართულიდან რომ ხტებოდი, ნუთუ ვერ გრძობდი, რომ ამით ჩრდილო ატლანტიკის პაქტს სახელს უტეხდი, სახელს უტეხდი იმ დიდ სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს ამ პაქტზე, თუნდაც ისეთ უზარმაზარ ქვეყანას, როგორც არის ლუქსემბურგი. ახლა ყველა ჩემს გეგმაშიც ეგვს შეიტანს, იტყვიან გიჟის ბოღფაო. ჩემი და შენი სახელები ხომ განუყრელია, მე და შენაც კონგენიალური ვართ. არ გახსოვს ძვირფასო ჯეიმს, რა ეწერა „ნიუ-იორკ შერაღდ ტრიბიუნში“? იქ ხომ აღნიშნული იყო, რომ მარშალმა და ფორესტალმა გაათახხირეს ამერიკა, მათ ჩააოხრეს საქმეები პალესტინაში, პანამაში, წყნარ ოკეანეზე და იტალიის კოლონიებში! შენ რომ ფანჯრიდან გადმოხტი, მაშინ დამხხვრა არა მარტო შენი სხეული, არამედ შენი გეგმაც, ე. წ. „ფორესტალის გეგმა“, ახლა დარჩა მხოლოდ ჩემი გეგმა, ე. წ. „მარშალის გეგმა“ და „ტრუმენის დოქტრინა“. მაგრამ ვინდა დაიჯერებს, რომ ესენიც სულით ავადმყოფის ფანტაზიის ნაყოფი არ არის?

ამ ნაღვლიანი შეკითხვით დაამთავრა ჯორჯმა თავისი სიტყვა. ის იყო ოთახში შემოიჭრა ჯახინდ იალჩინი, რომელიც მეკარემ ველარ დაიჭირა, ყველამ ცხვირსახოცი მიიფარა პირზე, ჯახინდმა მწუხარებისაგან სიტყვის თქმა ვერ მოახერხა, მხოლოდ ბლაბლა, გული მჯიღის იცემდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიძახოდა: „ალაჰ, ვალაჰო!“. მერე სიტყვის წარმოთქმის განზრახვაზე ხელი აიღო, მიცვალებულს მიუახლოვდა და ძველი თურქული ჩვეულების თანახმად გვამის ლოკვა დაიწყო.

ჯახინთან ახლო ყოფნა ხუთ წუთზე მეტს არ შეიძლებოდა, ამიტომ იქ მყოფებმა საჩქაროთ დასტოვეს ოთახი და კბიებზე დაეშვენენ. კბიებ ჩამოსვლისას დაღეხი ეუბნებოდა ჰარიმანს:

— სულელია ეს ჯორჯი, აბა რა ატირებს მაგ მუდრეგს. რამდენი იდიოტი, გიჟი და უნიჰო მეთექვსმეტე ხართულიდან გადმოხტება, მე თუ ვიტყვი— აღარ ყოფილა საშველი. მაგას ტირილი კი არა— წყევლა-კრულვა ეკუთვნის. ჩვენს გეგმებს სახელი გაუტეხა, შეგვარცხვინა. ახლა ქვეყანა ილაპარაკებს, რომ ამერიკის სამხედრო მინისტრი გიჟი იყო და რაც მსოფლიოში სავაციოთა და საზღვაო ბაზები გაქვს—სულ გიჟის გეგმით არის აგებული. თავი მოგვჭრა მაგ კრეტინმა. ახიცი არის მაგაზე, ძაღლი მიაკვდეს სულში, წინ წყალი უკან მეწყერი. იმდენი მამა უცხონდეს, რამდენი მე ეგ ვიტყრო!

შემდეგ იგი გამოეთხოვა ჰარიმანს, ცილინდრი გაისწორა, ტროსტი შეათამაშა ხელში და „კუპარჩას“ ლილინი დაიწყო. ბოლოს, ქურჩაზე სადღაც გაჩერდა, ერთი ჰიქა „კოკა-კოლა“ გადაჭრა და თავის ბინას მიაშურა. მეთექვსმეტე ხართულზე ცხოვრობდა. როცა ავიდა თავის საწოლ ოთახში, ფანჯარა გააღო, გადმოიხედა, ერთი კი გაიფიქრა: „მოდი მეც ვცდი, იქნებ მართლა სჯობდეს აქედან გადახტომაო“, მაგრამ იმავე წუთს დააყოლა: „რა მეჩქარება, ამის დროც მოვაო“. შეწვა ლოგინში და ხვრინვა ამოუშვა.

ცხედართან მარტო დარჩენილმა ჯახინდმა, როცა მიიხედ-მოიხედა და ველარავინ დაინახა, კუბოზე დაწყობილი სათამაშოები—მუყაოს დოლარი, სათამაშო ატომური ბომბი სასწრაფოდ ჯიბეში ჩაიჩარა და ისიც სასტუმროსაკენ გაემართა. რათა მეორე დღეს ანკარაში დაბრუნებულიყო.



მოქობითა და ნახვის ნახვით

კომპარკომის რეინიგოს სრავის სავაჟო სანატორიუმის ღირსებრი ახს. ახსალმა სნილაქას

ჩრდილივით სანატრელი ამხანაგო აბესადომ!

ივნისის სიცხემ შუბლზე ხვითქი გადამადინა. თბილისის ტაფობში ვიხარებდი და აგარაკის რომელიმე კუთხე სანატრელი გამიხდა. ამასთანავე ერთად უნდა მოგახსენოთ, რომ მე ძალიან მიყვარს ბავშვები, სიამოვნებით ჩამოვიდოდი თქვენთან დასასვენებლად, მაგრამ ჩემმა კორესპონდენტებმა შემდეგ გარემოებაზე მიმაქცევინეს ყურადღება:

გასულ წელს, თქვენდამი რწმუნებულ სანატორიუმისათვის დიდი „არიჭა, მიშველე“ რემონტი გაგიკეთებიათ, საკმაო თანხა დაგიხარჯიათ, მაგრამ ახლა, თურმე, თქვენს მაგიერ, უკვე თქვენი სანატორიუმი გაიძახის „არიჭა, მიშველეთო“ და სასწრაფო რემონტს მოითხოვს.

ჩახან ბავშვებთან ერთად დასვენება გადაწყვიტე, სიამოვნებით ვეწვეოდი წალგერის ან ბაკურიანის საბავშვო სანატორიუმს, მაგრამ იქაც, თურმე, ისევე ვერ არის კარგად რემონტის საქმე, როგორც თქვენთან და სასტუმრო „ბორჯომში“.

ბორჯომში გამახსენდა: თქვენ, როგორც ვატყობ, ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევთ გამომგონებლობას და რაციონალიზაციას, თორემ რა საჭირო იქნებოდა შენობის რემონტი, საქმე ისევე ადვილად მოგვარდებოდა, როგორც ბორჯომის სასტუმრო „ბორჯომმა“ ჰქნა. საქმე იმაშია, რომ ამ სასტუმროს სახურავი დაზიანებული აქვს, წვიმა თქრიადითა და აურზაურით ჩამოდის ოთახებში. სასტუმროს დირექციამ ეს მოვლენა დამსვენებელთა სასარგებლოდ გამოიყენა: შხაპების მისაღებად შორს აღარ უხდებათ წასვლა. სასტუმრო-აბანოს გამტარუნარიანობა იმდენად დიდი გამოდგა, რომ ბორჯომელებმა ციხისჯვრის აბანოს მისასვლელი გზა აღარ შეაკეთეს, ამდენი აბანო რა საჭიროაო. რაციონალიზაციის ამ სახეს მოჰყვა შემდეგი გარემოება: სასტუმროს საკმაო რაოდენობით აღარ სჭირდება ფიანდაზები, დგამები და სხვა ავეჯეულობა, ზენიტები, ღებები, თეთრეული. ხედავთ რამდენი ეკონომიაა?

მიბაძვა და გამოცდილების გადაღება იმდენად სასარგებლოა, რომ სასტუმრო „ბორჯომის“ მაგალითს უცბათ მიბაძეს ხჭურღლეშმა. მათი ორი შენობის სახურავიც დაზიანებულია, ბუნებრივი შხაპებით უზრუნველყოფილად გამოაცხადეს თავი და აბანოებში რომ აბაზანები აკლიათ, სრულიადაც არ ანუხებთ.

რემონტის საქმე, თურმე, კარგად ვერა გაქვთ, ამხ. აბესადომ! შეიძლება მითხრათ, საშენი მასალა არა გვაქვსო. მე მიგიითობთ: ავტომანქანები რომ საყოფად გქონდეთ, კურორტ შოვის კარმიდამოზე იმდენი ქვა და ლორლი ყრია, ათ სახლს ააშენებდით, თქვენს საქმესაც გააკეთებდით და ამხ. ს. ყურაშვილსაც დაეხმარებოდით კურორტის კარმიდამოს განმეინდამი.

ვიცი იფიქრებთ, უყურადღებობას მნამებსო. არა, გეთაყვა, თვადთა და ყურთ აფხაზეთის კურორტთა სამმართველოს სანატორიუმების მუშაკებსაც კი არ აკლიათ, მიუხედავად იმისა, რომ მათ დღემდე საკმაოდ აკლიათ თვადისა და ყურის ექიმები.

ყველაზე მეტად თქვენი თავდაბლობა და ხათრიანობა მაკვირვებს. ბორჯომელებს და სტუმრებს თუ შეუძლიათ, რომ თქვენ მოგბადონ, თქვენ რა, უფლება არა გაქვთ მათ მიბაძოთ? შარშანდელ თქვენს გამოცდილებას, რემონტის გვიან დაწყებაში და თანხების ნახევრად ათვისებაში ისინი წელს შესანიშნავად იყენებენ, თქვენ კი თქვენმა ხათრიანობამ შეიძლება უკან ჩამოგტოვოთ.

ასე, ჩემო კარგო, სანატრელი აბესადომ ჩემს ჩამოსვლამდე ცოტა დრო დარჩა. მანამდე კი—

მიიღეთ ეს პარათი და მხურვალე საკურორტო სურვილები:

ნიანუა

მაიმუნნი და სარკე

(ახალ თემაზე)

არტელი „პირველი მაისი“ დაბალი ხარისხის სარკეებს ამზადებს.



მაიმუნმა თავის თავი სარკეში რომ დაინახა დაპრანჭული, დაჯღანული, დათეს წასტორა, მიაძახა:

— მოდი, ერთი ჩაიხედე, დაინახე მაინცაო, ეს რა გაუყეთებია არტელ „პირველ მაისსაო!“

მე რომ ვიყო იმ არტელის გამგეობის თავმჯდომარე, სარკეს იქვე დაევამსხვრევდი, გაფუშვებდი განა გარეთ?

დათვმა უთხრა:— ჩემო დაო, შენი რჩევა კარგი კია, მაგრამ არტელს მაშინ ყველა სარკე უნდა დაემსხვრია...

გ. ზალამზერიძე

კეთილ(ების)მოწყობა

ნახ. ა. კანდელაკისა



— როგორ არის საქმე! თქვენი დასასვენებელი სახლის დირექტორს რალაც საქმეები ჰქონდა არეული, ყველაფერი მოაწყო?

— კი... ჯერჯერობით ორი ბიძაშვილი და სამი მამიდაშვილი მოაწყო.

კავისანი და სხვა

ტარიმის აიწი.

თბილისელი საავტორო მხატვრის წინააღმდეგობა...

ბავშვიანადვე ჩემი „მოსწრებულის“. უკვე ყველაზე მეტად...

— არა, შენო, აქ ყველაზე მეტად რაღაცა...

— შენ ყოველთვის ასე მანქანე ხოლმე, მილიციული დაგიტერ...

— მიიჯი, შენო!—დავუხვევ ბავშვს, იქვე მთავარად მოზრ...

ბავშვს ფული წამბაცა და უკანმოუხედავად გაფრინდა ბაღს...

— არ მინდა მე ეს ყველაზე მეტი...

— მთავარად რაღაცა გვიბრუნა და მთავარი...

— მომეცე გავისი... ბავშვს დაიჭიბე, ვისაც მოვაცანინე...

— როგორ და სულ უზბალოდ, ჯარიმის გადახდა... ასე აღ...

— ექმნის კრიტიკული მალაჩია. მე შემიძლიან მივციკა...

— წყვილი, მაგრამ თუ არ გამოაბრუნებ, ორბეჯ ჯარიმის გა...

— თქვა მან და მილიციულს გაუღიმა.

— ექმნა შენსაკრი, შენიღბა იმ ბავშვსა დაკრიფა ბაღში და...

— მე კარაკო, — თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ, — აქაურია, მ...

— მილიციამ რომ არ გვიგეფა, ისე ვერ მეტყვიდი? ჩემი რა...

— მთავარად რაღაცა გვიბრუნა და მთავარი...

ნახ. გ. თამარაშვილისა



საბავშვო ომის გვირგვინი

საბავშვო ომის გვირგვინი

მთბარის მხსენობა

შენ ამხანაგო! გუგუნი მთა...

მოსამაზ საბავშვო

...იმე ხილვებიც კვლავ გვაყავს...

თავი I. რაღაც მომადლავს სა...

თავი II. რაღაც საბავშვო ომის...

თავი III. საბავშვო ომის...

თავი IV. საბავშვო ომის...

თავი V. საბავშვო ომის...

თავი VI. საბავშვო ომის...

თავი VII. საბავშვო ომის...

თავი VIII. საბავშვო ომის...

*) იხილეთა შენიღბების.



ძია ნიანგო!

გუშინ ხუთ მანეთად შევიძინე პატარა წიგნაკი-დღიური „მოსწავლე“. ეს წიგნაკი გათვალისწინებულია მოსწავლე ბავშვთათვის. შიგ მოთავსებულია გაკვეთილების განაწილების, წარმატების აღრიცხვისა და სხვა სუფთა, შეუვსებელი გრაფები, გათხუპნული უცნაური საღებავით.

დაბეჭდილი ტექსტი სულ ორიოდ გვერდია და ამ ორიოდ გვერდზე სწერია შემდეგი ალუბ-მალუხი:

„მოსწავლე ვალდებულია:

1. მოუაროს დღიურს, სუფთად და გულმოდგინედ შეინახოს იგი
2. თან იქონიოს დღიური სკოლაში და პირველი მოთხოვნისთანავე წარუდგინოს იგი სკოლის ადმინისტრაციას
3. ყნველკვირეულად (შაბათობით) უჩვენოს დღიური ოობლებს და მათი ხელმოწერით წარუდგინოს მშვეისი კლასის ხელმძღვანელს..“

წიგნაკის ბოლოში წერია: „კასრ საბჭოთა მხატვრების კავშირის გამოცემა. თბილისი პასუხისმგებელი გამოცემისათვის გ. ა. მაზურეკი“.

თქვენ მაინც შეგვატყობინეთ, ძია ნიანგო, კაპეიკებად საღი-რალ წიგნაკში რატომ გვახდევინებენ ხუთ მანეთს? იმიტომ ხომ არა, რომ ასეთი უაზრო, უპასუხისმგებლო და დამცინავი ალუბ-მალუხით გართობაც საქმეა?

მოსწავლე გივი თავდგირიძე

აგხანავო ნიანგო!



ზუგდიდის მოქალაქეებს უყვართ პური. მათ ბევრჯერ უჭამიათ ყველიანი პური (ხაჭაპური), ქიშ-მიშიანი და კრემიანი პური.

მაგრამ მათ არასოდეს არ უჭამიათ ლურსმნი-ანი პური და არც სურვილს გამოსთქვამენ ოდესმე ასეთი რამით პი-რი ჩაიტკბარუნონ. მიუხედავად ამისა, საქვაპრობის ზუგდიდის გან-ყოფილების № 1 ფურნის გამგე ცდილობს როგორმე შეაჩვიოს მომხმარებელი ისეთი პურის ჭამას, რომელშიც პირველ ხანებში პატარ-პატარა ლურსმნები იქნება გაჩრილი.

ა. წ. 13 მაისს აღნიშნულ ფურნებში პური იყიდა ზუგდიდში მცხოვრებმა ი. გეგელიამ. პურში გეგელიას პატარა გოგონამ ნანუ-ლიმ აღმოაჩინა პატარა მოღუნული ლურსმანი.

როგორც ირკვევა, ფურნის გამგეს პირველ ხანებში სურს შეა-ჩვიოს ზუგდიდელები პატარა და ისიც მოღუნული ლურსმნებიანი პურის ჭამას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში პურში აღ-მოჩენილი იქნება გამართული და შედარებით დიდი ლურსმნები. ამის თავდება ის დიდი უსუფთაობა, რაც აღნიშნულ ფურნეშია გამეფებული.

ერთი, თუ კაცი ხარ, ნიანგო, გვიშუამდგომლე საქვაპრობის ზუგდიდის განყოფილების უფროსის წინაშე, პური ცალკე მოგვყი-დონ, ხოლო ლურსმნები ცალკე.

ზიბი აღშიზაია



ჩერჩილმა ბუდე გამართა, ხალხების სიხსლით ვერ ძღება, ომების პროვოკაცია მტრედს ჩაულაგა კვერცხებად. მშვიდობის მტრედი ძია სემს „ალერსით“ აუყვანია, მისი ჩასმა სურს ბუდეში, ცდილობს რამდენი ხანია, მაგრამ ამაოდ, თავიხი დღემდე ვერ გაუყვანია!..

ქარაგმული ნაკვესები

1. ის არაპირდაპირი კაცი იყო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.
2. გაზაფხულის წყადიღობა უნაპირო სევდამ მოიცვა, როდესაც მტკვრის ახალი სანაპირო დაინახა.
3. დრამატურგს უხაროდა: ქურჩა ხაღხით იყო სავსე და პიესის დამთავრებისას თეატრიდან გამოსულ მაყურებლებად მოეჩვენა.
4. სიყვარულის გამყლავნების დროს ცოდ-შვიდს იფიცებდა— უცოდო ვარო.
5. კოდმურნეობის ეენახის შეჭმას თხას აბრადებდნენ, თხის შეჭმას კი—თავმჯდომარესო.

გ. ნიუნიანიძე
ე. ყიფიანი

ერთი ჩვენთაგანი ცხოვრობს წილკანის ქუჩაზე, ხოლო მეორე — ლენინის ქუჩაზე, იქ, სადაც ორჯონიკიძის რაისაბჭოა.

ჩვენ შრომელი ელემენტები ვართ და როგორც ასეთი დასაძინებლად ვწვებით დაახლოებით ლამის თორმეტ საათზე.

ღიახ, ვწვებით, მაგრამ დაძინებით კი არ გვეძინება. ან კი რა დაგვაძინებს, როცა ქუჩაში ჩვენი ბინების წინ აღმართულ ბოძებზე დამაგრებული ხმამაღლა მოლაპარაკე რადიორუბორები კონტრაბასით გვამცნობენ მეტად მნიშვნელოვან ამბებს:

„უურადღება, ისმინეთ, ისმინეთ! ლაპარაკობს ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტთან არსებული რადიოკვანძი. პირველი მარშრუტის ტრამვაი გამოდის საკოლმეურნეო მოედნიდან. დაიცავით წესრიგი, ვაგონში შედით უკანა ბაქნიდან, გამოდით წინა ბაქნიდან. შეიძინეთ ბილეთები კონდუქტორის გაფრთხილების გარეშე“ და სხვ. და სხვ. და ასე შემდეგ.

რადიოაპარატი გადმოსცემს ამ ოქრო სიტყვებს ვაჟაკური მკექარე ხმით.

ეს სიტყვები გაისმის დილას, გაისმის შუადღისას, გაისმის საღამოს და გრავინავს ლამის ორ საათზედაც...

დღისით კიდევ არა უშავს, რადიოხმები ინთქმება დიდი ქალაქის ხმაურიან ორომტრიალში, მაგრამ ლამის 2 საათზე აღნიშნული ბგერები თავისუფლად თარეშობენ ჰაერში, შემოიჭრებიან დასაძინებლად დაწოლილ მშრომელების ფანჯრებში და ჰერი ბიჭო, გუგუნებენ და გუგუნებენ...

ტრამვაი-ტროლეიბუსის მუშაობა რომ გაუმჯობესდა, ეს ყველასთვის ცხადია და დიდი მადლობის ღირსი არიან მათი ტრესტის მუშაკები, (ქვემოთ ამისა ხელისმომწერნიც დიდად მადლიერნი ვართ), მაგრამ მაინცდამაინც რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს ლამის 2 საათზე, როცა ქუჩაში ორიოდე მოქალაქესაც კი ვერ შეხვდებით — ასეთი რადიოგანგაშის ატეხვას საკოლმეურნეო მოედნიდან № 1 ტრამვაის გამოსვლის შესახებ?!

ღმერთმანი, არაფერ საჭიროებას ეს არ წარმოადგენს. მაგალითად, მოსკოვის ცის ლაქვარდებში ტრამვაი-ტროლეიბუსების რადიოკვანძის ხმები სრულიად არ გაისმის და არა უშავს, მოსკოველები უკმაყოფილებას არ გამოსთქვამენ.

შენ გენაცვალე, ნიანგო, სთხოვე ტრამვაი-ტროლეიბუსებს ტრესტის მუშაკებს რადიოს ხმებით ძილს ნუ დაგვიფრთხობენ და მადლობა ჩვენზე იყოს.

შ. ლომაური

ამ რამდენიმე დღის წინ ახმეტის რაიონ სოფ. ზემო ხოდაშენში ჩავედი. მანქანიდან გამოსვლისთანავე თვალში მეცა საქართველოში პირველი, ამჟამად დაუძლეურებული და დაჩაჩანაკებული საკოლმეურნეო ცირკი. მივეუახლოვდი, მაგრამ ვაი ამ მიახლოებას. ცირკის ტირილმა მატკინა გული, კარგი ჭირისუფალივით უფრო ახლოს დავაპირე მისვლა.

— სად მოხვალ, სად? — შემომბლავლა საცოდავმა, — შე კაი კაცო, ჩემთან მოახლოებას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბეხარიონ ცირლილაძეც კი ვერ ბედავს და შენ რაღამ გაგაგვიჟა. შენი თავი თუ არ გეცოდება, ჩემს მდგომარეობაში მაინც რატომ არ შედიხარ? არ გეშინიან, რომ გუმბათი ჩამოინგრეს და ქვეშ მოგიყოლოს? რაზე გინდა შენს ცოდვაში ჩამაყენო!

— არ შეიძლება შიგნით შემიშვა, მაჩვენო შენი არენა? — არ მოვეფიე სნეულს.

— წერას ხომ არ აუტანიხარ, ადამიანო? ეს მესამე წელია, რაც სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეები ხან ზევიდან მომივლიან და ხან ქვევიდან, ისინი ცხენებით ვერ ბედავენ შემოსვლას და შენ რა ყარამან ყათილი ხარ, რომ მეგელივით მოიწვი!

რაღას ვიზამდი, ისევ გარედ ვამჯობინე გაჩერება და ბაასის გაგრძელება.

— რამ დაგაუძლეურა, ჩემო კარგო, ვინ ჩაგაყენა ამ მდგომარეობაში?

— ვინა და სოფლის ხელმძღვანელი ამხანაგების დაუღვერობამ. დღიდან, ხმენებისა ცხრა წლის განმავლობაში არავის მოსვლია ფიქრად ჩემი შეკეთება. დაუძლეურდი და დავჩაჩანაკდი, დასუსტებული კინკლაზე ვდგავარ, თითი რომ ვინმემ შემახოს, ხუხულასავით ჩავინგრევი.


ჩვენმა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბესარიონ ცირლილაძემ ამ ექვსი თვის წინ, სახურავისათვის თუნუქი მიიღო, გამოყენების მაგივრად სადღაც დააწყო და ახლა ამბობენ, ჟინგვის პროცესებზე დაკვირვებას აწარმოებს, სურს პრაქტიკული გამოცდილების დახმარებით დისერტაცია დაწეროს და განსახილველად ახმეტის რაიონმასკომს წარმოუდგინოს. ეჰ, მაგას ვინ ჩივის. მე იმას ვშიშობ, რომ როგორც ამ ცხრა წლის გამოცდილებამ დამანახვა, ჩვენი ბესარიონი კიდევ დიდხანს გააჩერებს თუნუქს საწყობში. ამ ხნის განმავლობაში კიდევ უფრო დაჟანგდება და ვაი თუ ცუდი მუშაობისათვის, თვითონ ბესარიონს მოაბან ჟანგიანი თუნუქი, ხმაურითა და ჭლარუნით გაუყენონ დამნაშავეს გზას, მაშინ ხომ აღარ დასცალდება დისერტაციის დაცვა?

კარგი იქნებოდა, რომ ნიანგს ღირსეული ოპონენტი გაეგზავნა დისერტანტისათვის!

8. ჩანგალაძე

ქუთაისის ჩაქაბები

ნახ. ვ. თომაშვილისა



ახალი პრეზები

1. კეკეაში მარტო სახლი იყო და ინკინერიც შენდებოდაო.
2. კარაქის ქარხნის დირექტორს მარგარინი ასუქებდაო.
3. მსუქანი მგზავრი ხდგილს მეტს იჭერს, მაგრამ მოფერსაც მეტად უყვარსო.
4. „მეწისქვილეგ, როგორი ამინდიაო“ და „გახინია, როგორი მინდიაო“.
5. ბუღალტერი მარტო თვითონ სადილსაც ძნელად სჭამსო.

შეკრიბა შიამ

სარედაქციო კოლმეობა: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 8-10-49



ხელმოწ. დასაბ. 1949 წ. 8/VI. ტექსტი აწყობილია ლ. ბ. ბერიას საზ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შეკ. №, 698. ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შეკ. № 1292. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 69. ტირ. 11000. უფ 01893

პუშკინის სტრიქონები თბილისზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ფირცხალავასი

არაპირდაპირი და პირდაპირი გზებით





1. ქალაქის დიდი ნაწილი აზიურ ყაიღაზეა გაშენებული.

2. ვიწრო და მრუდე ქუჩებში დარბიან გაღრებაკიდებული სახედრები.



3. ხალხი გროვდებოდა მოედანზე.



4. აბანოს შესავალში, აბანოს პატრონი, მოხუცი სპარსელი იჯდა.

5. მათ გონებრივ ნიჭიერებას დიდი განვითარება მოეღოს.